

ორგანიზებული დანაშაული

ორგანიზებული დანაშაულის ცნება

ცნება „ორგანიზებული დანაშაული“ პირველად 1919 წელს აშშ-ის ქ. ჩიკაგოში გამოიყენეს. გერმანიის ბუნდესტაგის მიერ 1992 წელს შემუშავებულ იქნა განმარტება, რომლის მიხედვითაც, *ორგანიზებული დანაშაული არის მოგების ან ძალაუფლების მიღების მიზნით ორზე მეტი პირის მიერ სისტემატიურად და ხანგრძლივი პერიოდით დანაშაულის ჩადენა, თუ იგი ჩადენილია პროფესიული ან სამეწარმეო სტრუქტურების გამოყენებით ძალადობის ან დაშინებით გზით პოლიტიკაზე, მედიაზე, მართლმსაჯულებაზე და ეკონომიკაზე გავლენის მოხდენის მიზნით.*

1991 წელს გაეროს საერთაშორისო კონფერენციაზე „ორგანიზებული დანაშაული“ განიმარტა, როგორც *დამნაშავეთა მართვადი, მყარი გაერთიანების საქმიანობა, რომლის წევრებისათვის დანაშაულის ჩადენა წარმოადგენს ბიზნესს და რომელიც კორუფციის დახმარებით ქმნის სოციალური კონტროლისაგან დაცულ სისტემას.*

გაეროს განმარტებიდან გამომდინარეობს ორგანიზებული დანაშაულის 3 ძირითადი ნიშანი: 1) გაერთიანებული პირების არსებობა დანაშაულთა სისტემატიური ჩადენისთვის. მათში შეინიშნება მკვეთრად გამოხატული იერარქია; 2) კანონის სისტემატიური დარღვევა მთავარ მიზნად ისახავს გამდიდრებასა და კაპიტალის დაგროვებას; 3) შემოსავლის მიღების წყაროა კორუფცია.

ქართულ კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში ორგანიზებული დანაშაული არის „ანტისახელმწიფოებრივი მდგრადი სისტემა, რომელიც თავისი ფართომასშტაბიანი დანაშაულებრივი საქმიანობით ხელოვნურად ქმნის უფრო მეტად ხელსაყრელ პირობებს კანონსაწინააღმდეგო ბიზნესისთვის, როგორც დანაშაულებრივი აქტივობის მომსახურე მმართველობითი და სხვა ფუნქციების მქონე საკუთარი სტრუქტურების მეშვეობით, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მეშვეობით“.

ორგანიზებული დანაშაულები ერთმანეთისაგან შესაძლოა გაიმიჯნოს სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით. ფორმების მიხედვით გამოყოფენ ისეთ ორგანიზებულ დანაშაულებს, როგორებიცაა: პოლიტიკური, ეკონომიკური (თეთრსაყელოიანთა) და საერთო-სისხლისსამართლებრივი.

ორგანიზებულობის ხარისხის მიხედვით არის სუსტად ორგანიზებული, საშუალოდ ორგანიზებული და მაღალ დონეზე ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები. ტერიტორიის მასშტაბების მიხედვით ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირებები შეიძლება იყოს ლოკალური, რეგიონული, რეგიონთაშორისი და საერთაშორისო. მონაწილეთა რაოდენობის მხრივ ორგანიზებული ფორმირებები შეიძლება იყოს მცირერიცხოვანი (3-5 წევრი), საშუალო (6-10 წევრი) და მრავალრიცხოვანი (10-ზე მეტი წევრი). არსებობის ხანგრძლივობის მიხედვით დანაშაულებრივი ფორმირებები იქმნება შეზღუდული ან განუსაზღვრელი ვადით.

ყველაზე მეტად გავრცელებულია ისეთი ორგანიზებული დანაშაულები, როგორცაა: ნარკოტიკებით ვაჭრობა, საბჭო კონტროლის გვერდის ავლით სახელმწიფო საზღვარზე საქონლის გადატანა, ყალბი ფულის დამზადება, პროსტიტუციაზე კონტროლი, თაღლითობა, ადამიანებით ვაჭრობა/ტრეფიკინგი, იარაღის უკანონო გაყიდვა, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრების გათეთრება, ადამიანების ორგანოებით უკანონო ვაჭრობა და სხვა.

რა ზიანი მოაქვს სახელმწიფოსთვის და საზოგადოებისთვის

ორგანიზებულ დანაშაულს ცალსახად ზიანი მოაქვს სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის. იძულებით, გამოძალვით, დაშინებით, ფიზიკური ანგარიშსწორებით, ნარკოტიკების შემოტანით, ადამიანით ვაჭრობის/ტრეფიკინგის წახალისებით, ოფიციალური პირების მოქრთამვით, ახალგაზრდების დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმით და სხვა უკანონო ქმედებებით, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები ზრდიან ძალადობისა და მნიშვნელოვნად აუარესებენ კრიმინოგენურ მდგომარეობას ჩვენს საზოგადოებაში. გარდა ამისა, შემაშფოთებელია მათი საქმიანობით გამოწვეული ეკონომიკური გავლენაც: მსოფლიო მასშტაბით ისინი წლიურად დაახლოებით ერთი ტრილიონი დოლარის ოდენობის არალეგალურ შემოსავალს იღებენ.

რა უწყობს ხელს ორგანიზებულ დანაშაულს და კანონიერი ქურდების არსებობას

სიღარიბე ბუნებრივად ქმნის დანაშაულისთვის მასაზრდოებელ ნიადაგს. ასევე, იმ პირებში, რომლებმაც ვერ შეძლეს ადაპტირება ახალ ეკონომიკურ პირობებში, გამოიწვია არსებობის კრიმინალური ხერხებისადმი განწყობის გავრცელება. გარდა ამისა, ორგანიზებულ დანაშაულზე ძლიერ კრიმინოგენულ გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: სუსტი სახელმწიფო ხელისუფლება, მოსახლეობის მრავალეროვნული შემადგენლობა და განათლების დონე, ისტორიულად ჩამოყალიბებული დანაშაულებრივი ტრადიციების არსებობა, მწვავე სოციალური, რელიგიური და ეთნიკური წინააღმდეგობები.

ორგანიზებული დანაშაულის ხელისშემწყობი ფაქტორებიდან აღსანიშნავია საკანონმდებლო შეზღუდვები. მაგალითისთვის, ორგანიზებული დანაშაულის გავრცელება-გამლიერებას ხელი შეუწყო „მშრალმა კანონმა“ აშშ-ში, რომელიც კრძალავდა ალკოჰოლური სასმელების წარმოებასა და გაყიდვას 1920-1933 წლებში, რამაც გამოიწვია მისი (ალკოჰოლური სასმელის) არალეგალური წარმოება, სხვა ქვეყნიდან არალეგალური შემოტანა, ფალსიფიცირებული სასმელის გაყიდვა, ანუ ისეთი დანაშაულებრივი საქმიანობები, რომლებიც დანაშაულებრივი ჯგუფისგან კარგ ორგანიზებას მოითხოვდა. „მშრალი კანონი“ ორგანიზებული დანაშაულის გამლიერების კარგი ფინანსური ბაზისი აღმოჩნდა. 1920-1921 წლებში განხორციელებულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ მკვეთრად იმატა როგორც სხვა ტიპის დანაშაულებმა (ქურდობა, ძარცვა, მკვლელობა, ნარკოტიკების მოხმარება), ისე მართლმსაჯულების სისტემის დანახარჯებმა. ეს ძირითადად გამოწვეული იყო სწორედ მშრალი კანონის შემდეგ წარმოშობილ შავ ბაზარზე დაწყებული ძალადობით, კრიმინალური ორგანიზაციების აღმოცენებითა და კანონის დამცველთა რესურსების სხვა ქმედებებისკენ მიმართვით. ამასთან, თუ 1919 წელს ერთი ამერიკელი ალკოჰოლურ სასმელზე ხარჯავდა 17 დოლარს, აკრძალვით წარმოქმნილი დეფიციტის გამო 1930 წელს ეს რიცხვი 35 დოლარამდე გაიზარდა. და ბოლოს, „მშრალი კანონის“ შედეგად აღმოცენდა ალკოჰოლის წარმოების არალეგალური ინდუსტრია, რომელსაც წლიურად დაახლოებით 3 მილიარდი უკანონო შემოსავალი ჰქონდა. 1933 წელს, „მშრალი კანონი“-ს გაუქმების შემდეგ ორგანიზებულმა დანაშაულმა თითქმის მთლიანად დაკარგა ალკოჰოლის შავი ბაზრიდან მიღებული შემოსავლები.

კანონიერი ქურდობა, ქურდული სამყაროს წევრობა

კრიმინალური ორგანიზაციები საკუთარი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების სარკეს წარმოადგენენ, ქვეყნის კულტურული (მენტალიტეტი, ადათ-ჩვევები) პირობების გათვალისწინებით. 1990-იან წლებსა და 2000-იანი წლების დასაწყისში საქართველოში სახელმწიფო და მართლმსაჯულების ინსტიტუტების უუნარობისა და კორუმპირებულობის, მწვავე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო ორგანიზებულმა დანაშაულმა იმპლავრა და თავისი ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობით გახდა გამორჩეული. ამ პერიოდში მოქმედი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფიდან აღსანიშნავი იყვნენ კანონიერი ქურდები.

ციხის გარეთ მათი იერარქიის სათავეში იდგნენ „კანონიერი ქურდები“ - ანუ ადამიანები, რომლებიც თავიანთი კრიმინალური წარსულის და „კანონიერი ქურდების“ ნორმების აღიარების და განმტკიცების გამო, სხვა „ქურდების“ მიერ „მონათლულები“ არიან ე.წ. „კანონიერ ქურდებად“. ქვედა იერარქიულ საფეხურზე იყვნენ კრიმინალური ავტორიტეტები, ანუ პროფესიონალი დამნაშავეები, რომლებიც „კანონიერი ქურდების“ იდეებს აღიარებენ და პატივისცემით სარგებლობენ კრიმინალურ სამყაროში. იერარქიის ბოლოს ვხვდებით „მსახურს“ - ანუ პირს, რომლებიც ემსახურებოდა კანონიერ ქურდს და კრიმინალურ ავტორიტეტს.

კანონიერ ქურდებს შორის გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა ე.წ. „სხოდკაზე“. „სხოდკა“ შეიძლება იყოს ადგილობრივი და რეგიონული ხასიათის. მაგალითად, 1982 წლის „სხოდკით“ „ქურდული სამყარო“ გაიყო სლავურ და კავკასიური წარმოშობის „კანონიერ ქურდებად“. სლავური წარმოშობის ქურდები ემორჩილებოდნენ ქურდულ ადათ-წესებს და ყოველგვარ ეკონომიკურ მოგებაზე უარს ამბობდნენ, ხოლო კავკასიური წარმოშობის ქურდები იყენებდნენ სახელმწიფოს კორუმპირებულობას და დიდძალ ეკონომიკურ მოგებას იღებდნენ.

„კანონიერი ქურდების“ მიერ კრიმინალური გზებით მოპოვებული ქონება გროვდებოდა შავ სალაროში, ე.წ. „აბშიაკში“. იგი გამოიყენებოდა ქურდული სამყაროს პრობლემების გადასაჭრელად და კრიმინალური ავტორიტეტების ინტერესების დასაკმაყოფილებლად. მასში შედიოდა სამი სახის ფულადი თანხა: 1) შემოსული კაზინოებიდან, ბორდელებიდან ან სხვაგვარ ნახევრად კანონიერ ან უკანონო სამეწარმეო საქმიანობიდან; 2) შეგროვებული ციხეში პატიმრების მიერ; 3) შეგროვებული ციხის გარეთ (კრიმინალური

გზით ნაშოვნნი ქონების ნაწილი). იგი გროვდებოდა აღიარებული კრიმინალური ავტორიტეტის ან „კანონიერი ქურდის“ მიერ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223¹ მუხლის თანახმად, „ქურდული სამყაროს“ წევრობა და „კანონიერი ქურდობა“ არის მძიმე კატეგორიის დანაშაული. „ქურდული სამყაროს“ წევრობა ისჯება ხუთიდან რვა წლამდე, ხოლო „კანონიერი ქურდობა“ შვიდიდან ათ წლამდე. თავისუფლების აღკვეთასთან ერთად შესაძლებელია ასევე ჯარიმის დანიშვნაც.

საქართველოს დღევანდელი კანონმდებლობის თანახმად:

„ქურდული სამყარო არის პირთა ერთობა, რომელიც მოქმედებს მათ მიერ დადგენილი/აღიარებული სპეციალური წესების შესაბამისად და რომლის მიზანია დაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობით, ქურდული გარჩევის გზით, დანაშაულებრივ ქმედებებში არასრულწლოვნების ჩაბმით, დანაშაულის ჩადენით ან დანაშაულისკენ წაქეზებით მისი წევრებისთვის ან სხვა პირებისთვის სარგებლის მიღება“.

„ქურდული სამყაროს წევრი“ არის პირი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად.

„კანონიერი ქურდი არის ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს“.

ქურდული სამყაროს წევრობად, კანონიერ ქურდობად ფასდება ისეთი ქმედებები, როგორცაა:

- ✓ ქურდული გარჩევის დაგეგმვა, ორგანიზება, მომზადება, ქურდული გარჩევისთვის ხალხის შეკრება, მათი გაფრთხილება/შეტყობინება გარჩევის დროისა და ადგილის შესახებ;
- ✓ სადავო საკითხის გადასაწყვეტად კრიმინალური ავტორიტეტისათვის მიმართვა ან/და „ქურდული სამყარო“-ს წესებით საქმეების გარჩევა;

- ✓ ქურდულ სამყაროს წევრისთვის გადასაცემად კონკრეტული პირისაგან თანხის მოთხოვნა;
- ✓ ე.წ. „ქურდული საერთო“-ს, „ობშიაკი“-ს შეგროვება, შენახვა, განაწილება, მართვა, ასეთი შეგროვების ორგანიზება, შეგროვების ორგანიზებისთვის კონკრეტული მიმართულებების, მითითებების მიცემა, „ქურდული საერთო“-ში, „ობშიაკში“ თანხის შემტანი პირების მოძიება;
- ✓ წაგებული ფულის ე.წ. „თავანის“ ჩაბარების საკითხების მოგვარება, პირის იძულება ჩააბაროს „თავანი“;
- ✓ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი კრიმინალური ავტორიტეტისთვის თანხის შეგროვება და შეგზავნა;
- ✓ ქურდული სამყაროს ლიდერებისგან დავალებების მიღება, მათ შესასრულებლად მზადყოფნის გამოხატვა და შესრულება;
- ✓ სასჯელაღსრულების სისტემაში განთავსებული პატიმრების მართვა, მათთვის დავალებების მიცემა;
- ✓ აქტიური ურთიერთობა „ქურდული სამყარო“-ს წევრებთან და მათი იდეების მხარდაჭერა;
- ✓ „ქურდული სამყარო“-ს წესების გავრცელება და მათი პოპულარიზაცია;
- ✓ „ქურდული სამყარო“-ს წევრებისათვის თანხის მიტანა;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223¹ მუხლით (ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა) 2009 წელს გამოძიება დაიწყო 33 დანაშაულზე, ბრალდებულად ცნობილი იქნა - 15 პირი. 2010 წელს გამოძიება დაიწყო 20 დანაშაულზე, ბრალდებულად ცნობილი იქნა - 47 პირი; 2011 წელს გამოძიება დაიწყო 6 დანაშაულზე, ბრალდებულად ცნობილი იქნა - 16 პირი; 2012 წელს გამოძიება დაიწყო 13 დანაშაულზე, ბრალდებულად ცნობილი იქნა - 11 პირი; 2013 წელს გამოძიება დაიწყო 28 დანაშაულზე, ბრალდებულად ცნობილი იქნა - 70 პირი.

ორგანიზებული დანაშაულით წახალისებული სხვა დანაშაულები

ორგანიზებული დანაშაულის და მათ შორის კანონიერი ქურდების ადათ-წესები და საქმიანობის მეთოდები წინააღმდეგობაში მოდის დემოკრატიული სახელმწიფოს წეს-წყობილებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ორგანიზებული დანაშაულებრივი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ყველაზე გავრცელებული ქმედებები და მათ მიერ წახალისებული დანაშაულები:

ა) ნარკოდანაშაული - ეს სფერო ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფებისთვის ალბათ ყველაზე დამახასიათებელია რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი, უკანონო ნარკოტიკების ბაზარი და მისგან მიღებული მოგება დიდია; და მეორე, ნარკოტიკების მოთხოვნა-მიწოდების სქემა როგორც წესი გულისხმობს საქონლის უცხო იურისდიქციებიდან შემოტანას, რისი განხორციელებაც კარგად ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფების არსებობის გარეშე რთულია;

ბ) ტრეფიკინგი - ნარკოდანაშაულის მსგავსად, ტრეფიკინგი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი საქმიანობაა. ბოლო წლებში მსოფლიოში ამ სფეროში მნიშვნელოვან პრობლემად იქცა არასრულწლოვნების პროსტიტუციაში ჩაბმა და ქუჩაში მათხოვრობის იძულება;

გ) კორუფცია - ორგანიზებული დანაშაულებრივი ორგანიზაციები თავიანთი აქტივობების დასაფარად და გასამარტივებლად ან მართლმსაჯულების სისტემისგან თავის ასარიდებლად ხშირად იყენებენ საჭირო ძალაუფლების მქონე პირების მოქრთამვას, კორუფციულ სქემაში ჩაბმას. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ამ შემთხვევაში კორუფცია არის არაკანონიერი ქმედების არა პირველადი მიზანი, არამედ საბოლოო სასურველი შედეგის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება;

დ) საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული - ორგანიზებულ დანაშაულსა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. კერძოდ, ქურდული სამყაროს წევრი, მისი ტრადიციების მიმდევარი ან მათგან დაშინებული პირი ე.წ. „ობშიაკის“ შესავსებად ან სხვა მიზნით ხშირად მიმართავს ქურდობას, ძარცვას, ყაჩაღობას და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა არაკანონიერ ქმედებას;

ე) ფულის გათეთრება - უკანონო გზებით მიღებული შემოსავლების დასამალად და შემდგომი რეალიზებისთვის ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები ჩვეულებრივ იყენებენ სხვადასხვა არალეგალურ ფინანსურ მაქინაციებს;

ვ) ძალადობრივი ქმედებები - თავიანთი სასურველი მიზნების მისაღწევად ორგანიზებული დანაშაულის წევრების მხრიდან ჩვეული პრაქტიკაა კონკურენტების, სახელმწიფოს თუ საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი და არაძალადობრივი აქტები, მათ შორის: შეკვეთილი მკვლელობა, ადამიანის გატაცება, გაუპატიურება, გამოძალვა, ყაჩაღობა, პროსტიტუცია, ძარცვა, ქურდობა, მექრთამეობა, ცეცხლის წაკიდება, ტრეფიკინგი, კონტრაბანდა, თაღლითობა, გაყალბება, უკანონო აზარტული თამაშები, ნარკოდანაშაულები, მითვისება, მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლა, რეკეტი და სხვა.